მრავალფუნქციური სპორტული დარბაზი

July 29

2019

საექსპერტო დასკვნა წარმოადგენს არქიტექტურული პროექტის საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილებასთან ტექნიკურ რეგლამენტის – "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე“ შესაბამისობის შეფასებას.საექსპერტო დასკვნის შესადგენად გამოყენებულ იქნა მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებაში, საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 თებერვლის №63 დადგენილებით შეტანილი ცვლილებების საფუძველზე 47-ემუხლით (მუხლი 47." არქიტექტურული პროექტის შემადგენლობა") განსაზღვრული არქიტექტურული პროექტი.

შპს „პლანინგ კონსალტინგ გრუპი“

PLANNING CONSULTING GROUP

საექსპერტო დასკვნა

ქ. თბილისში, წყნეთის გზატკეცილზე მდებარე მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთი 07/056 (ს/კ 01.14.06.007.067)) მრავალფუნქციური სპორტული დარბაზის არქიტექტურული, სანებართვო პროექტის შესაბამისობაზე საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილებასთან, ტექნიკურ რეგლამენტის – "შენობა-ნაგებობისუსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე“.

ქ. თბილისში, წყნეთის გზატკეცილზე მდებარე მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთი 07/056 (ს/კ 01.14.06.007.067)) მრავალფუნქციური სპორტული დარბაზის არქიტექტურული პროექტის ავტორები არიან **ანდრე ნიკიში და გიორგი ლობჟანიძე** საექსპერტო დასკვნის შესადგენად გამოყენებულ იქნა დამკვეთის მიერ მოწოდებული დოკუმენტაცია: მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებაში, საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 თებერვლის №63 დადგენილებით შეტანილი ცვლილებების საფუძველზე 47-ემუხლით (მუხლი 47." არქიტექტურული პროექტის შემადგენლობა") განსაზღვრული არქიტექტურული პროექტი.

საექსპერტო დასკვნა მოიცავს არქიტექტურული პროექტის ნაწილების შეფასებას ტექნიკურ რეგლამენტთან - "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები" შესაბამისობაზე საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 თებერვლის №63 დადგენილების („მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე) **მე-5 მუხლის, მე-3 პუნქტის** მიხედვით.

1. შენიშვნები

შენიშვნა№ განმარტება

1. საექსპერტო დასკვნა წარმოადგენს არქიტექტურული პროექტის საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილებასთან ტექნიკურ რეგლამენტის – "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე“ შესაბამისობის შეფასებას და არ მოიცავს საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ, სამშენებლო სფეროში გამოყენებულ სხვა რაიმე დადგენილებასთან შესაბამისობის ანალიზს.

2. საექსპერტო დასკვნისთვის მოწოდებული დოკუმენტაციის სისწორეზე და რეალობასთან შესაბმისობაზე პასუხისმგებელია მომწოდებელი მხარე.

3. საექსპერტო დასკვნაში გამოყენებული ტერმინები (დაკავებულობა, დაკავებულობის დატვირთვა, მისაწვდომობა და სხვა) შეესაბამება შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებში გამოყენებულ ტერმინებს და უნდა განიმარტოს აღნიშნული წესებისმიხედვით. განუმარტავი ტერმინები საყოველთაოდ მიღებული მნიშვნელობით გამოიყენება.

1. ტერმინები და განმარტებები

ტერმინი № განმარტება

1. წესები - შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები.
2.შშმ - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე.

☐ პროექტის აღწერილობა

პროექტის მიზანს წარმოადგენს „თბილისის გერმანული საერთაშორისო სკოლის“ ტერიტორიაზე ახალი სპორტული დარბაზის მშენებლობლობა, რომელიც ასევე გამოყენებული იქნება, როგორც საღონისძიებო დარბაზი

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქ. თბილისში, წყნეთის გზატკეცილი, ნაკვეთი 07/056 (საკადასტრო კოდი: 01.14.06.007.067) .ტერიტორია ტერასული ტიპისაა და გამოირჩევა ქანობიანი რელიეფით, თუმცა იმ ნაწილში სადაც იგეგმება მრავალფუნქციური სპორტული დარბაზის მოწყობა მიწის ნაკვეთი მცირედ ქანობიანია და დონეთა სხვაობა შეადგენს 15 სანტიმეტრს. ტერიტორიას აღმოსავლეთის მხრიდან ესაზღვრება სატყეო ზონა, სამხრეთ-დასავლეთის მხრიდან მთავარი გზა, ხოლო დანარჩენი ორი მხრიდან არსებული გრუნტის გზები. სასკოლო კომპლექსის ძირითადი ნაწილი აშენებული და კეთილმოწყობილია. ტერიტორიაზე ფუნქციონირებს საბავშვო ბაღის ერთსართულიანი შენობა, ღია სპორტული მოედანი და სკოლის ნაგებობა.

საპროექტო შენობა ძირითადი ფუქციის მიხედვით წარმოადგენს სპორტულ-გამაჯანსაღებელ კომპლექსს, თავისი დამხმარე სივრცეებით, საწყობებით და გასახდელებით, რიგ შემთხვევებში სპორტული დარბაზის სივრცეში მოეწყობა სასკოლო ღონისძიებები, როგორიცაა თეატრალური წარმოდგენები, პრეზენტაციები და ა.შ. რომლისთვისაც განკუთვნილია შემაღლებული სცენა დამხმარე სათავსებით.

საპროექტო შენობების მიწისპირა დონეზე მდებარეობს ვესტიბიული, ორი გასახდელი ოთახი საშხაპეებით, ტუალეტების კვანძი, დამხმარე და სასაწყობე სათავსები, მწვრთნელის, ტექ. ოპერატორის და ექიმის ოთახები. ამავე სივრცეში ეწყობა ძირითადი სპორტული დარბაზი მაყურებელთა დასაჯდომებით (დასაკეცი კონსტრუქცია) და სცენა. შენობა-ნაგებობის სახურავის ნაწილზე (+3.50 ნიშნული) მდებარეობს არსებული საბავშვო ბაღისთვის განკუთვნილი სათამაშო ტერასა, რომელიც გადახურულულია მსუბუქი საჩრდილობლით, ამ უკანასკნელზე მოხვედრა შესაძლებელია არსებული საბავშვო ბაღის ეზოს დონიდან და ღია კიბის მეშვეობით, რომელიც ჩადის არსებულ გარე სპორტულ მოედანზე. **აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სპორტული დარბაზის გასახდელების თითოეული ოთახი გათვლილია მაქსიმუმ 16 დამკავებელზე, გასახდელებში არსებული კარადების რაოდენობიდან გამომდინარე და აღნიშნულ ოთახებში დაკავებულობის დატვირთვის კონტროლზე პასუხისმგებელია სკოლის და სპორტული დარბაზის ადმინისტრაცია.**

მრავალფუნქციური სპორტული დარბაზის შენობის ძირითადი ნაწილი ერთსართულიანია, შენობის მაქსიმალური სიმაღლე წესებით განსაზღვრული მიწის დონის ნიშნულიდან (**552.25 მეტრი**) შეადგენს **6.98 მეტრს,** მიწის ზედაპირიდან **9.7 მეტრს,** ხოლო ბოლო დაკავებული იატაკი მდებარეობს სახანძრო მანქანის მისადგომი ყველაზე დაბალი წერტილიდან **3.5 მეტრზე.**

მრავალფუნქციური სპორტული დარბაზი მთლიანად ადაპტირებულია და უზრუნველყოფს შშმ პირთა მისაწვდომობას . ფასადების იერსახე იმეორებს აშენებული სკოლის და საბავშვო კომპლექსის იერსახეს. დარბაზის დიდი ნაწილი მოპირკეთებულია დეკორატიული აგურით, ფასადის კარ-ფანჯრებში შემინულია მაღალი ხარისხის ალუმინის პროფილიანი ვიტრაჟებით.

საპროექტო გადაწყვეტით შენობის დასაფუძნებლად გამოყენებულია მონოლითური რკინა ბეტონის მთლიანი ფილა, თავად შენობის მზიდი კონსტრუქციები წარმოდგენილია სტანდარტული ჩარჩოვანი სისტემით- მონოლითური გაძლიერებული ბეტონის სვეტებითა და კოჭებით. მონოლითური ფილით დახურულია შენობის დამხმარე სივრცე (გასახდელები, კაბინეტები სან-კვანძები და ა.შ.) რომლის თავზე მდებარეობს ღია ტერასა, ხოლო მის გადახურვის სტრუქტურად გამოყენებულია ლითონის გაგლინული ელემენტები. ასევე ლითონის გაგლინული ელემენტებით არის შესრულებული დარბაზის სახურავის მზიდი სტრუქტურა. გადახურვის კონსტრუქცია წარმოადენს ლითონის მზიდ ელემენტებზე დაფუძნებულ, ასევე ლითონის ზედაპირის მქონე ქარხნულად წარმოებულ ფილებს "სენდვიჩ პანელებს" და ალუმინის კომპოზიტურ პანელებს.

შენობის კონსტრუქციის ტიპი მისი სიმაღლისა და გაბარიტებიდან გამომდინარე, შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების წესების მიხედბით **I-B** კონსტრუქციის წარმოადგენს

1. დაკავებულობებისა და დაკავებულობის დატვირთვის შეფასება.

პროექტი ითვალისწინებს საპროექტო შენობაში განსათავსებელ თითოეული ტიპის დაკავებულობისთვის შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებით განსაზღვრულ ყველა დეტალურ მოთხოვნას, დაკავებულობები არის კლასიფიცირებული მე-3 თავის მიხედვით და შეესაბამება წესების **302-ე ქვეთავს.**

იქიდან გამომდინარე, რომ სპორტული დარბაზი მრავალფუნქციურია და საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით დარბაზში იგეგმება, როგორც სპორტული ისე საღონისძიებო აქტივობებების მოწყობა, წინამდებარე საექსპერტო დასკვნაში დარბაზის ძირითადი სივრცე და სცენა განხილულია თავშეყრის ორ დამოუკიდებელ დაკავებულობის ქვეჯგუფად (თვ-1 და თვ-4), წარმოდენილია ორი ალტერნატიული გეგმარება და დასკვნაში მოცემული შეფასებები გაკეთებულია თითოეული მათგანისთვის ცალ ცალკე.

პროექტში გამოყენებულია სასაწყობო **(სწ-1),** თავშეყრის **(თვ-1, თვ-3 და თვ-4),** საქმიანი **(სქ)** და დამხმარე და სახვადასხვა დანიშნულების **(დს)** ჯგუფის დაკავებულობები. კერძოდ:

1. **სასაწყობო ჯგუფის ქვეჯგუფი სწ-1** (სცენის დამხმარე და ინვენტარის საწყობები 0.00 და +1.20 ნიშნულებზე) წესების **311.2 ქვეთავის** მიხედვით აღნიშნული დაკავებულობა მოიცავს საწყობად გამოყენებულ შენობებს/სივრცეებს, რომლებიც არ კლასიფიცირდება, როგორც **სწ-2** ჯგუფის დაკავებულობა.

სწ-1 ქვეჯგუფის დაკავებულობისთვის განსაზღვრულია დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორი- **27,9** (დახმარე სათავსები) წესების **1004 ქვეთავის 1004.1.2 ცხრილის** შესაბამისად

და დაკავებულობის დატვირთვა შეადგენს:

- ☐ 0.00 ნიშნულზე - 4 დამკავებელი (ჯამურად)
- ☐ +1.20 ნიშნულზე - 1 დამკავებელი

საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით გათვალისწინებულია წესების **508.1 ქვეთავით** და **508.4 ცხრილით** განსაზღვრული განსხვავებული დაკავებულობების გამმიჯნავების მიმართ მოთხოვნები, სასაწყობო სივრცე **(სწ-1)** და მომიჯნავედ, ასევე ზედა დონეზე მდებარე თავშეყრის **(თვ-1/თვ-4 და თვ-3)** ჯგუფის დაკავებულობები ერთმანეთისგან გამიჯნულია მინიმუმ 1 საათიანი ცეცხლმედეგობის მქონე (მასალიდან გამომდინარე, რომელიც აღწერილია წესების **721.1(1) და 721.1(2) ცხრილებში** გამოყენებულია ბეტონის ბლოკის წყობა) კედლებით და მინიმუმ 2 საათიანი ცეცხლმედეგობის მქონე (მასალიდან გამომდინარე, რომელიც აღწერილია წესების **721.1(1) და 721.1(2) ცხრილებში** გამოყენებულია გაძლიერებული ბეტონის ფილა) თარაზული ანაწყობთ, რაც შეესაბამება წესების **508.4 ცხრილში** განსაზღვრულ მოთხოვნებს.

2. თავშეყრის ჯგუფის ქვეჯგუფი თვ-1 თავშეყრის ჯგუფი **თვ-1** (საღონისძიებო დარბაზი და სცენა 0.00 და +1.20 ნიშნულებზე (საღონისძიებო აქტივობების დროს)) **წესების 303.2 ქვეთავის** მიხედვით ამ ჯგუფს მიკუთვნებული სივრცები თავშეყრისათვის გამოიყენება, ჩვეულებრივ, ფიქსირებული დასაჯდომებითაა უზრუნველყოფილი.

თვ-1 ქვეჯგუფის დაკავებულობისთვის (საღონისძიებო დარბაზი) განსაზღვრულია დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორი **-0,7** (კონცენტრირებული (მხოლოდ დასაჯდომები - არაფიქსირებული)) წესების **1004 ქვეთავის 1004.1.2 ცხრილის** შესაბამისად და დაკავებულობის დატვირთვა შეადგენს **717 დამკავებელს.**

საპროექტო დოკუმენტაციით წარმოდგენილი სცენისთვის, რომელიც საღონისძიებო აქტივობების დროს განიხილება, როგორც თვ-1 ქვეჯგუფის დაკავებულობა განსაზღვრულია დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორი - **1,4** (სცენები და ტრიბუნები) წესების **1004 ქვეთავის 1004.1.2 ცხრილის** შესაბამისად და დაკავებულობის დატვირთვა შეადგენს **48 დამკავებელს.**

საერთო ჯამში მრავალფუნქციურ სპორტულ დარბაზში, საღონისძიებო აქტივობების დროს, **თვ-1** ქვეჯგუფის დაკავებულობის დატვირთვა შეადგენს **765** დამკავებელს.

საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით გათვალისწინებულია წესების **508.1 ქვეთავით** და **508.4 ცხრილით** განსაზღვრული განსხვავებული დაკავებულობების გამმიჯნავების მიმართ მოთხოვნები, თვაშეყრის ჯგუფის დაკავებულობა **(თვ-1)** მომიჯნავედ მდებარე საქმიანი **(სქ)** და სასაწყობო **(სწ-1)** ჯგუფის დაკავებულობებისგან გამიჯნულია მინიმუმ 1 საათიანი ცეცხლმდეგობის მქონე (მასალიდან გამომდინარე, რომელიც აღწერილია წესების **721.1(1) და 721.1(2) ცხრილებში,** გამოყენებულია ბეტონის ბლოკის წყობა) კედლებით, რაც შეესაბამება წესების **508.4 ცხრილში** განსაზღვრულ მოთხოვნებს.

როგორც უკვე აღნინიშნა მრავალფუნქციურ სპორტულ დარბაზში მოწყობილია სცენა, რომელიც მოემსახურება, როგორც სპორტულ, ისე საღონისძიებო აქტივობებს და იქნება თვ-1 და თვ-4 ჯგუფის დაკავებულობა დარბაზში მიმდინარე პროცესებიდან გამომდინარე.
შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების და საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით აღნიშნული სცენა განმარტებულია როგორც ბაქან-სცენა, რაც გულისხმობს:

ამაღლებული ფართობი შენობაში, რომელიც გამოიყენება სალოცავად, მუსიკალური ნაწარმოებების შესასრულებლად, სპექტაკლების ან სხვა გასართობი ღონისძიებების წარმოსადგენად, განსაკუთრებული სტუმრებისთვის განკუთვნილი მთავარი მაგიდის დასადგმელად, ასევე ამაღლებული ადგილია ლექტორებისა და გამომსვლელებისთვის, კრივის და საჭიდაო რინგებისთვის, მრგვალი თეატრალური სცენებისთვის და ა.შ, რომლის ზევით არ არის ფარდა, დეკორაციები ან სასცენო ეფექტები, გარდა განათებისა და ხმის მოწყობილობებისა.

წესების მოთხოვნებიდან გამომდინარე, საპროექტო დოკუმენტაციით წარმოდგენილი ბაქან-სცენა უნდა აიგოს მინიმუმ 1 საათინი ცეცხლმედეგობის მქონე მასალებით და უნდა აკმაყოფილებდეს წესების **410.4 ქვეთავის** მოთხოვნებს. პროექტის მიხედვით ბაქან-სცენა აკმაყოფილებს წესების **410.5.1 ქვეთავის** მოთხოვნებს და დამხმარე ფართობებისგან **(სწ-1)** გამიჯნულია მინიმუმ 1 საათიანი ცეცხლმედეგობის მქონე ზღუდით. ბაქან სცენას ემსახურება წესების 410.6 ქვეთავით განსაზღვრული და წესების მე-10 თავის მოთხოვნებით მოწყობილი გასასვლელი და აღჭურვილია **410.7 ქვეთავით** განსაზღვრული ავტოსაშხეფი სისტემით.

3. თავშეყრის ჯგუფის ქვეჯგუფი თვ-4 (სპორტული დარბაზი, გასახდელები და სცენა ±0.00 და +1.20 ნიშნულებზე) **წესების 303.5 ქვეთავის** მიხედვით ამ ჯგუფს მიკუთვნებული ადგილები თავშეყრისათვის გამოიყენება, გამიზნულია დახურულ სივრცეში სპორტული შეჯიბრებებისა და აქტივობების საყურებლად და აღჭურვილია მაყურებელთათვის განკუთვნილი ფიქსირებული დასაჯდომებით.

თვ-4 ქვეჯგუფის დაკავებულობისთვის (სპორტული დარბაზის საასპარეზო სივრცე და ჰოლი) განსაზღვრულია დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორი - **4,7** (სპორტული ვარჯიშებისთვის განკუთვნილი ოთახები) წესების **1004 ქვეთავის 1004.1.2 ცხრილის** შესაბამისად და დაკავებულობის დატვირთვა შეადგენს **123 დამკავებელს.**

საპროექტო დოკუმენტაციით წარმოდგენილი მაყურებელთა დასაჯდომებისთვის (დასაკეცი კონსტრუქცია) დაკავებულობის დატვირთვა განსაზღვრულია ფიქსირებული დასაჯდომების მიხედვით წესების **1004.4 ქვეთავის** მოთხოვნიდან გამომდინარე და შეადგენს **112 დამკავებელს,** ხოლო წესების **1108.2.3 ქვეთავის** შესაბამისად მოწყობილი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ეტლებისა და თანმხლები პირების დასაჯდომებისთვის განკუთვნილი სივრცეების დაკავებულობის დატვირთვა შეადგენს **10 დამკავებელს.**

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სპორტული დარბაზის გასახდელების თითოეული ოთახი (**თვ-4 ქვეჯგუფის** დაკავებულობა) გათვლილია მაქსიმუმ **16 დამკავებელზე, (ჯამში 32 დამკავებელი)** გასახდელებში არსებული კარადების რაოდენობიდან გამომდინარე და აღნიშნულ ოთახებში დაკავებულობის დატვირთვის კონტროლზე პასუხისმგებელია სკოლის და სპორტული დარბაზის ადმინისტრაცია.

საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით წარმოდგენილი ბაქან-სცენისთვის, რომელიც სპორტული აქტივობების დროს განიხილება, როგორც **თვ-4 ქვეჯგუფის** დაკავებულობა განსაზღვრულია დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორი - **1,4** (სცენები და ტრიბუნები) წესების **1004 ქვეთავის 1004.1.2 ცხრილის** შესაბამისად და დაკავებულობის დატვირთვა შეადგენს **48 დამკავებელს.**

საერთო ჯამში მრავალფუნქციურ სპორტულ დარბაზში, სპორტული აქტივობების დროს, **თვ-4** ქვეჯგუფის დაკავებულობის დატვირთვა შეადგენს **325 დამკავებელს.**

საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით გათვალისწინებულია წესების **508.1 ქვეთავით** და **508.4 ცხრილით** განსაზღვრული განსხვავებული დაკავებულობების გამმიჯნავების მიმართ მოთხოვნები, თავშეყრის ჯგუფის დაკავებულობა **(თვ-4)** მომიჯნავედ მდებარე საქმიანი **(სქ)**, სასაწყობო **(სწ-1)** და დამხმარე **(დს)** ჯგუფის დაკავებულობებისგან გამიჯნულია მინიმუმ 1 საათიანი ცეცხლმდეგობის მქონე (მასალიდან გამომდინარე, რომელიც აღწერილია წესების **721.1(1) და 721.1(2) ცხრილებში,** გამოყენებულია ბეტონის ბლოკის წყობა) კედლებით, რაც შეესაბამება წესების **508.4 ცხრილში** განსაზღვრულ მოთხოვნებს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მრავალფუნქციურ სპორტულ დარბაზი და მასში მოწყობილი მაყურებელთა ფიქსირებული დასაჯდომები (დასაკეცი კონსტრუქცია) აკმაყოფილებს წესების **1028.6.2 ქვეთავის** მოთხოვნებს კვამლისაგან დაცულ დასაჯდომებთან დაკავშირებით, რადგან შენობა სრულად აღჭურვილია ავტოსაშხეფი და კვამლის მექანიკური კონტროლის (გაწოვის მეთოდი) სისტემებით, ასევე წესების **1028.8, 1028.8.1 და 1028.9.1 ქვეთავების** მოთხოვნებს დასაჯდომების განლაგებასთან, გასავლელებთან და გასასვლელებთან დაკავშირებით.

4, **თავშეყრის ჯგუფის ქვეჯგუფი თვ-3** (საბავშვო ბაღის სათამაშო მოედანი (ტერასა) + 3.50 ნიშნულზე) **წესების 303.3 ქვეთავის** მიხედვით ამ ჯგუფს მიკუთვნებული ადგილები თავშეყრისათვის გამოიყენება, კერძოდ, რელიგიური მსახურების, რეკრეაციის ან გართობისთვის, ასევე, სხვა მიზნით თავშეყრისათვის, რომელიც არ არის კლასიფიცირებული **თვ** ჯგუფის არცერთ ქვეჯგუფში.

თვ-3 ქვეჯგუფის დაკავებულობისთვის განსაზღვრულია დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორი - **4,7** (სპორტული ვარჯიშებისთვის განკუთვნილი ოთახები) წესების **1004 ქვეთავის 1004.1.2 ცხრილის** შესაბამისად და დაკავებულობის დატვირთვა შეადგენს **76 დამკავებელს.**

საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით გათვალისწინებულია წესების **508.1 ქვეთავით** და **508.4 ცხრილით** განსაზღვრული განსხვავებული დაკავებულობების გამმიჯნავების მიმართ მოთხოვნები, თავშეყრის სივრცე **(თვ-3)** და ქვედა სართულზე მდებარე საქმიანი **(სქ),** სასაწყობო **(სწ-1)** და დამხმარე **(დს)** ჯგუფის დაკავებულობები ერთმანეთისგან გამიჯნულია მინიმუმ 2 საათიანი ცეცხლმედეგობის მქონე (მასალიდან გამომდინარე, რომელიც აღწერილია წესების **721.1(1) და 721.1(2) ცხრილებში** გამოყენებულია გაძლიერებული ბეტონის ფილა) თარაზული ანაწყობთ, რაც შეესაბამება წესების **508.4 ცხრილში** განსაზღვრულ მოთხოვნებს.

5. საქმინიჯგუფი სქ (მწვრთნელის, ექიმის და ოპერატორის ოთახები ±0.00 ნიშნულზე) წესების **304.1 ქვეთავის** მიხედვით ამ ჯგუფს მიკუთვნებული სივრცეები პროფესიული ან სამომსახურეო ტიპის საქმიანობისთვის გამოიყენება.

სქ ჯგუფის დაკავებულობისთვის განსაზღვრულია დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორი - **9,3** (საქმიანობისწარმოების (ბიზნეს) ფართობები) წესების **1004 ქვეთავის 1004.1.2 ცხრილის** შესაბამისად და დაკავებულობის დატვირთვა შეადგენს **4 დამკავებელს** ჯამურად

საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით გათვალისწინებულია წესების **508.1 ქვეთავით** და **508.4 ცხრილით** განსაზღვრული განსხვავებული დაკავებულობების გამმიჯნავების მიმართ მოთხოვნები, საქმიანი ჯგუფის დაკავებულობა **(სქ)** მომიჯნავედ და ზედა სართულზე მდებარე თავშეყრის**(თვ-4/თვ-1 და თვ-3)**, სასაწყობო **(სწ-1)** და დამხამრე **(დს)**

ჯგუფის დაკავებულობებისგან გამიჯნულია მინიმუმ 2 საათიანი ცეცხლმედეგობის მქონე (მასალიდან გამომდინარე, რომელიც აღწერილია წესების **721.1(1) და 721.1(2) ცხრილებში,** გამოყენებულია გაძლიერებული ბეტონის ფილა) თარაზული ანაწყობით და მინიმუმ 1 საათიანი ცეცხლმდეგობის მქონე (მასალიდან გამომდინარე, რომელიც აღწერილია წესების **721.1(1) და 721.1(2) ცხრილებში,** გამოყენებულია ბეტონის ბლოკის წყობა) კედლებით, რაც შეესაბამება წესების **508.4 ცხრილში** განსაზღვრულ მოთხოვნებს.

6. დამხამრე და სხვადასხვა დანიშნულების ჯგუფი დს (სახანძრო ტუმბოსა და წყლის რეზერვუარის ოთახი ±0.00 ნიშნულზე) წესების **312.1 ქვეთავის** მიხედვით აღნიშნული დაკავებულობა მოიცავს დამხმარე დანიშნულების შენობებს, ნაგებობებს და სხვადასხვა ნაგებობს, რომლებიც არ მიეკუთვნება რომელიმე სპეციფიკურ კლასს.

დს ჯგუფის დაკავებულობებისთვის განსაზღვრულია დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორი- **27,9** (დამხმარე სათავსები, მექანიკური მოწყობილობების ოთახი) წესების **1004 ქვეთავის 1004.1.2 ცხრილის** შესაბამისად და დაკავებულობის დატვირთვა შეადგენს 1 დამკავებელს

საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით გათვალისწინებულია წესების **508.1 ქვეთავით** და **508.4 ცხრილით** განსაზღვრული განსხვავებული დაკავებულობების გამმიჯნავების მიმართ მოთხოვნები, დახმარე სივრცეები **(დს)** მომიჯნავედ მდებარე სასაწყობო **(სწ-1)**, თავშეყრის **(თვ-1/თვ-4)** საქმიანი **(სქ)** და ზედა სართულზე მდებარე თავშეყრის **(თვ-3)** ჯგუფის დაკავებულობისგან გამიჯნულია მინიმუმ 2 საათიანი ცეცხლმედეგობის მქონე (მასალიდან გამომდინარე, რომელიც აღწერილია წესების **721.1(1) და 721.1(2) ცხრილებში,**გამოყენებულია გაძლიერებული ბეტონის ფილა) თარაზული ანაწყობით და მინიმუმ 1 საათიანი ცეცხლმდეგობის მქონე (მასალიდან გამომდინარე, რომელიც აღწერილია წესების **721.1(1) და 721.1(2) ცხრილებში,** გამოყენებულია ბეტონის ბლოკის წყობა) კედლებით, რაც შეესაბამება წესების **508.4 ცხრილში** განსაზღვრულ მოთხოვნებს.

პროექტის მიხედვით განსაზღვრული დაკავებულობები შერჩეულია წესების შესაბამისად და მათი დატვირთვები სწორად არის გამოთვლილი **1004.1.2** ცხრილის მიხედვით.

დაკავებულობებისა და დაკავებულობის დატვირთვის შეფასება *განხორციელდა დამკვეთის მიერ მოწოდებულ არქიტექტურულ პროექტზე დაყრდნობით და შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების გამოყენებით (საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილება ტექნიკურ რეგლამენტის – "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების" დამტკიცების თაობაზე"). უნდა აღინიშნოს, რომ საპროექტო დოკუმენტაციის ცვლილება ან მშენებლობის დროს განხორციელებული რაიმე სახის ცვლილება, რომელიც იქნება აღნიშნულ არქიტექტურულ პროექტთან შეუსაბამო, ავტომატურად გამოიწვევს წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნის და შეფასებების გაუქმებას, ასევე საჭიროს გახდის არქიტექტურული პროექტის კორექტირებას და ახალი სამშენებლო ნებართვის მიღების აუცილებლობას.*

2. კონსტრუქციული ტიპის შეფასება.

შენობა-ნაგებობის უსაფრთოხების წესების მიხედვით საპროექტო შენობისთვის გამოყენებული მასალების ცეცხლმედეგობის (განსაზღრულია **721.1 ცხრილის** მიხედვით), შენობაში არსებული დაკავებულობების საფუძველზე და შენობის საპროექტო სიმაღლიდან გამომდინარე შენობისთვის განსაზღრულია **I-B** კონსტრუქციის ტიპი.

შენობის ელემენტები - ძირითადი სტრუქტურული ჩარჩო (გაძლიერებული ბეტონის მონოლითური სვეტები და კოჭები), იატაკის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილები (გაძლიერებული ბეტონის მონოლითური ფილა), სახურავის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილები (ლითონის გაგლინული ელემენტებით მოწყობილი სტრუქტურა დასრულებული ქანობიანი, მრავალშრიანი ლითონის გადახურვით) აკმაყოფილებს წესების **601 ქვეთავის 601 ცხრილის** მოთხოვნებს, პროექტის მიხედვით ზემოთ აღწერილი ელემენტების ცეცხლმედეგობის ხარისხი **721 ქვეთავში** აღწერილი მასალათა სპეციფიკაციიდან გამომდინარე შეადგენს მინიმუმ **2 საათს** , ასევე იატაკის და სახურავის კონსტრუქციისთვის მინიმუმ **2 საათს** და შეესაბამება **601 ცხრილში I-B** კონსტრუქციის ტიპისთვის მოთხოვნილ ცეცხლმედეგობის ხარისხს.

გარე კედელბის ცეცხლმედეგობის ხარისხი აკმაყოფილებს წესების **602 ცხრილში** განსაზღრულ მინიმუმს ხანძარსაწინააღმდეგო მანძილიდან და გარე კედელბის სამშენებლო მასალიდან გამომდინარე, რაც ქვემოთ უფრო დეტალურად იქნება აღწერილი.

კონსტრუქციის ტიპების შეფასება განხორციელდა დამკვეთის მიერ მოწოდებულ არქიტექტურულ პროექტზე დაყრდნობით და შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების გამოყენებით (საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილება ტექნიკურ რეგლამენტის – "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების" დამტკიცების თაობაზე"). უნდა აღინიშნოს, რომ საპროექტო დოკუმენტაციის ცვლილება ან მშენებლობის დროს განხორციელებული რაიმე სახის ცვლილება, რომელიც იქნება აღნიშნულ არქიტექტურულ პროექტთან შეუსაბამო, ავტომატურად გამოიწვევს წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნის და შეფასებების გაუქმებას, ასევე საჭიროს გახდის არქიტექტურული პროექტის კორექტირებას და ახალი სამშენებლო ნებართვის მიღების აუცილებლობას.

3. სიმაღლისა და ფართობის შეფასება.

საპროექტო შენობის სიმაღლე და ფართობი განსაზღვრულია **წესების მე-5 თავის 503-ცხრილის** მიხედვით შენობაში არსებული დაკავებულობების და კონსტრუქციის ტიპიდან **(I-B)** გამომდინარე შენობის ყველა ნაწილი აკმაყოფილებს განსაზღვრულ ნორმებს.

იქიდან გამომდინარე, რომ საპროექტო შენობა აკმაყოფილებს **I-B** კონსტრუქციის ტიპისთვის განსაზღვრულ მოთხოვნებს, წესების **503-ე ცხრილის** მიხედვით შენობის დასაშვები სიმაღლე შეადგენს **48.8** მეტრს, ხოლო დასაშვები სართულიანობა, ასავე დასაშვები ფართობი თითოეულ სართულზე, საპროექტო დოკუმენტაციით მოცემული დაკავებულობებისთვის **(სწ-1, დს, თვ-1, თვ-3, თვ-4 და სქ)** განსაზღვრულია ინდივიდუალურად და შეადგენს:

- **სწ-1 ქვეჯგუფი -** 11 სართული - 4460 კვ.მ (თითო სართულზე)
- **დს ჯგუფი** - 5 სართული - 3300 კვ.მ (თითო სართულზე)
- **თვ-1 ქვეჯგუფი -** 5 სართული - შეუზღუდავი ფართობი
- **თვ-3 ქვეჯგუფი -** 11 სართული - შეუზღუდავი ფართობი
- **თვ-3 ქვეჯგუფი -** 11 სართული - შეუზღუდავი ფართობი
- **სქ ჯგუფი -** 11 სართული - შეუზღუდავი ფართობი

საპროექტო შენობის შემოთავაზებული სართულიანობაა მიწის ზემოთ **2 სართული.** შემოთავაზებული სიმაღლე წესებით განსაზღვრული მიწის დონის ნიშნულიდან **(552.25 მეტრი)** შეადგენს **6.98 მეტრს,** მიწის ზედაპირიდან **9.7 მეტრს,** ხოლო ბოლო დაკავებული იატაკი მდებარეობს სახანძრო მანქანის მისადგომი ყველაზე დაბალი წერტილიდან **3.5 მეტრზე.** საპროექტო დოკუმენტაციით წარმოდგენილი დაკავებულობების სართულიანობა და მოცემული ფართობი შეადგენს:

- **სწ-1 ქვეჯგუფი -** 1 სართული - 115.1 კვ.მ
- **დს ჯგუფი** - 1 სართული -14 კვ.მ
- **თვ-1 ქვეჯგუფი -**1 სართული - 569 კვ.მ
- **თვ-3 ქვეჯგუფი -** 1 სართული - 356.3 კვ.მ
- **თვ-4 ქვეჯგუფი -** 1 სართული - 691.3 კვ.მ
- **სქ ჯგუფი -** 39.8 კვ.მ

საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით წარმოდგენილი შენობის, სიმაღლე, სართულიანობა და დაკავებულობის ფართობები განსაზღვრულია წესების შესაბამისად და აკმაყოფილებს **მე-5 თავის 503 - ცხრილის მოთხოვნებს.**

სიმარლისა და ფართობის შეფასება განხორციელდა დამკვეთის მიერ მოწოდებულ არქიტექტურულ პროექტზე დაყრდნობით და შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების გამოყენებით (საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილება ტექნიკურ რეგლამენტის – "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების" დამტკიცების თაობაზე"). უნდა აღინიშნოს, რომ საპროექტო დოკუმენტაციის ცვლილება ან მშენებლობის დროს განხორციელებული რაიმე სახის ცვლილება, რომელიც იქნება აღნიშნულ არქიტექტურულ პროექტთან შეუსაბამო, ავტომატურად გამოიწვევს წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნის და შეფასებების გაუქმებას, ასევე საჭიროს გახდის არქიტექტურული პროექტის კორექტირებას და ახალი სამშენებლო ნებართვის მიღების აუცილებლობას.

4. გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების შეფასება.

გასასვლელების სისტემაში შემავალი სამივე ელემენტის (გასასვლელთან მისადგომი, გასასვლელი, შენობიდან გამოსასვლელი) ანალიზი განხორციელდა შენობის თითოეული სართულის დაკავებულობის დატვირთვის, გასავლელამდე სავალი მანძილის, ჩიხურ დერეფნებთან დაკავშირებული შეზღუდვების და გასავლელის კომპონენტების ზომების საფუძველზე **მე-10 თავის** შესაბამისად.

წესების **მე-10 თავის 1021.2 ქვეთავიდან, 1021.2(2) ცხრილიდან და 1015.1.1 ქვეთავიდან** გამომდინარე შენობას ემსახურება მინიმუმ 4 გასასვლელის გზა-კარი (შენობიდან გამოსასვლელი გზა-კარები) და 1 გარე გასასვლელის გზა-კიბე, საპროექტო დოკუმენტაციის

მიხედვით გასასვლელები გადის საპროექტო ტერიტორიაზე და წესებით განსაზღვრული, ჩაუხერგავი ბილიკებით უკავშირდება საზოგადოებრივ სივრცეს.

გასასვლელები გადანაწილებულია შემდეგნაირად:

იქიდან გამომდინარე, რომ საპროექტო დოკუმენტაციით წარმოდგენილი დარბაზი მრავალფუნქციურია და გათვლილია, როგორც სპორტული, ისე საღონისძიებო აქტივობების მოსაწყობად გასასვლელების სისტემის შესაფასებლად აღებულ იქნა შენობის მიწისპირა სართულის მაქსიმალური დაკავებულობის დატვირთვა, რაც შეადგენს **805 დამკავებელს** და +3.50 ნიშნულზე მდებარე ტერასის მაქსიმალური დაკავებულობის დატვირთვა, რაც შეადგენს **76 დამკავებელს.**

მიწისპირა სართულზე, +/-0.00 ნიშნულზე განთავსებულ დაკავებულობებს **(თვ-1/თვ-4, სწ-1, სქ, და დს)** საერთო, მაქსიმალური დაკავებულობის დატვირთვიდან გამომდინარე **(805 დამკავებელი)** - ემსახურება 4 შენობიდან გამოსასვლელის გზა-კარი, რაც აკმაყოფილებს წესების **1021.2 ქვეთავის** და **1015.1.1** ქვეთავის მოთხოვნებს გასასვლელების რაოდენობასთან დაკავშირებით, ასევე წესების **1015.2.2 ქვეთავის** მოთხოვნებიდან გამომდინარე, მინიმუმ 2 შენობიდან გამოსასვლელის გზა-კარი განთავსებულია ერთმანეთისგან შენობის მაქსიმალური დიაგონალის სიგრძის 1/3-ზე მეტი მანძილის დაშორებით.

მიწისპირა სართულზე მდებარე **სწ-1** დაკავებულობის ქვეჯგუფის მქონე ორ ოთახს, ინდივიდუალურად ემსახურება თითო-თითო შენობიდან გამოსასვლელი გზა-კარი.

საპროექტო დოკუმენტაციით წარმოდგენილ მიწის დონის ზედა სართულზე +3.50 ნიშნულებზე განთავსებულ **თვ-3** დაკავებულობის ქვეჯგუფებს, სართულზე მაქსიმალური დაკავებულობის დატვირთვიდან გამომდინარე **(76 დამკავებელი)** - ემსახურება 1 გარე გასასვლელის გზა-კიბე და გასასვლელის ღიობი, რომელიც უშუალო კავშირშია საპროექტო ტერიტორიასთან, რაც აკმაყოფილებს წესების **1021.2 ქვეთავის** მოთხოვნებს მიწის დონის ზედა სართულებთან დაკაშირებით. გასასვლელების განთავსება აკმაყოფილებს წესების **1015.2.1 ქვეთავის** მოთხოვნებს.

საპროექტო დოკუმენტაციით წარმოდგენილი გარე-გასასვლელის გზა-კიბე აკმაყოფილებს წესების 1026.3, 1026.4 და 126.5 ქვეთავების მოთხოვნებს გზა-კიბის ღია მხარესთან და მდებარეობასთან დაკავშირებით.

საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით ჩიხური დერეფნების სიგრძე არ აღემატება **6** მეტრს, რაც აკმაყოფილებს წესების **1018.4 ქვეთავის** მოთხოვნებს ჩიხურ დერეფნებთან დაკავშირებით.

საპროექტო დოკუმენტაციის შენობს სრულად აღჭურვილია წესების **903.3.1 ქვეთავის** მიხედვით განსაზღვრული ავტოსაშხეფი სისტემით, ასევე შენობის თითოეულ სართულს გააჩნია ორზე მეტი გასასვლელი, შესაბამისად წესების **ქვეთავი 1016-სა და ცხრილი 1016.2-ის** მიხედვით გასასვლელთან მისადგომი მაქსიმლური სავალი მანძილი დაშვებულია **სწ-1 ქვეჯგუფის** დაკავებულობისთვის - **120 მეტრი**, დს ჯგუფის დაკავებულობისთვის 1**20 მეტრი, თვ-1/თვ-4, თვ-3** დაკავებულობებისთვის - **60-75 მეტრი**, ხოლო **სქ** ჯგუფის დაკავებულობისთვის **90 მეტრი**, რაც საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით დაცულია.
გასასვლელის გზა-კიბეები მოწყობილია წესების **1009 ქვეთავის** შესაბამისად და აკამყოფილებს ყველა აუცილებელ მოთხოვნას. გასასვლელთან მისადგომი დერეფნები მოწყობილია წესების **1018 ქვეთავის** მიხედვით, ხოლო გასასვლელი გზა-კარები მოწყობილია

წესების **1008 ქვეთავის** შესაბამისად, ყველა მათგანი აკამყოფილებს ყველა აუცილებელ მოთხოვნას, რასაც ქვემოთ უფრო დეტალურად განვიხილავთ.

შენიშვნა:

<u>1006.2 ქვეთავის თანახმად გზა-კიბეების და ზოგადად გასასვლელი საშუალებების განათებულობა სავალი ზედაპირის დონესთან 11 ლუქსზე ნაკლები არ უნდა იყოს. 1006.3 ქვეთავის თანახმად დენის გათიშვისას, სათადარიგო ელექტროსისტემამ ავტომატურად უნდა გაანათოს გასასვლელი საშუალებები და დენით მომარაგებას უნდა უზრუნველყოფდეს არანაკლებ 90 წუთის განმავლობაში და უნდა შედგებოდეს აკუმულატორების ან ავტონომიური გენერატორისაგან.</u>

გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების შეფასება განხორციელდა დამკვეთის მიერ მოწოდებულ არქიტექტურულ პროექტზე დაყრდნობით და შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების გამოყენებით (საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილება ტექნიკურ რეგლამენტის – "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების" დამტკიცების თაობაზე"). უნდა აღინიშნოს, რომ საპროექტო დოკუმენტაციის ცვლილება ან მშენებლობის დროს განხორციელებული რაიმე სახის ცვლილება, რომელიც იქნება აღნიშნულ არქიტექტურულ პროექტთან შეუსაბამო, ავტომატურად გამოიწვევს წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნის და შეფასებების გაუქმებას, ასევე საჭიროს გახდის არქიტექტურული პროექტის კორექტირებას და ახალი სამშენებლო ნებართვის მიღების აუცილებლობას.

5. გზა-კიბეებისა და სხვა გასასვლელის საშუალებების გამტარუნარიანობების შეფასება.

